საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს
და თავმჯდომარეს ბატონ **შალვა პაპუაშვილს**

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძის** პ/N
[redacted] მცხ.: [redacted]
[redacted] ტელ.: [redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ

ბატონო შალვა,

საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 105-ე მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საკანონმდებლო წინადადების წარდგენის შესახებ საქართველოს **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“** საქართველოს კანონით რეგულირებულ იმ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით, რომლებთან მიმართებითაც ვფიქრობ, რომ საჭიროებს შემდომ დახვეწას.

დანართი:

- ✓ **საკანონმდებლო წინადადება** - მონაცემთა სუბიექტის უფლებების პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში სათანადოდ განსაზღვრის თაობაზე.

პატივისცემით,

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-12646/22
04 10 2022 ფურცელი 3

საკანონმდებლო წინადადება

მონაცემთა სუბიექტის უფლებების პერსონალურ მონაცემთა დაცვის
კანონმდებლობაში სათანადოდ განსაზღვრის თაობაზე

- **ცვლილების სახეობა:** „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

- **კანონის პროექტის მიღების დასაბუთება:** "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები, ასევე 21-ე მუხლის[1] პირველი პუნქტი დეტალურად და ამომწურავად განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაციის გამოთხოვა შეუძლია მონაცემთა სუბიექტს და შესაბამისად, რა ინფორმაციის მიუწოდებლობა წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტისთვის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით მინიჭებული უფლებების დარღვევას. კერძოდ, კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაცემთა სუბიექტი უფლებამოსილია გამოითხოვოს ინფორმაცია: ა) მის შესახებ რომელი მონაცემები მუშავდება; ბ) მონაცემთა დამუშავების მიზანი; გ) მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; დ) რა გზით შეგროვდა მონაცემები; ე) ვისზე გაიცა მის შესახებ მონაცემები, მონაცემთა გაცემის საფუძველი და მიზანი. ხოლო კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელი ან უფლებამოსილი პირი ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია: მონაცემთა დამმუშავებლისა და უფლებამოსილი პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ვინაობა და რეგისტრირებული მისამართი; მონაცემთა დამუშავების მიზანი; სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მონაცემთა მიწოდება; თუ სავალდებულოა – მასზე უარის თქმის სამართლებრივი შედეგები; მონაცემთა სუბიექტის უფლება, მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება. ამდენად, კანონი თითოეულ მონაცემთა დამმუშავებელს ავალდებულებს მონაცემთა სუბიექტებს მიაწოდოს ზემოაღნიშნული მუხლებით განსაზღვრული ინფორმაცია, თუმცა არ მოიცავს მონაცემთა დამმუშავებლის სამართლებრივ ვალდებულებას პასუხი გასცეს მონაცემთა სუბიექტის სხვა სახის შეკითხვას. აღნიშნული რეგულაციის უმთავრესი მიზანია მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს შესაძლებლობა განსაზღვროს რამდენად კანონიერად მუშავდება მისი მონაცემები, არის თუ არა სახეზე მონაცემთა დამუშავების საფუძველი და ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაციის წაშლა, განადგურება,

---

[1] კანონის 21-ე მუხლის მიზანს წარმოადგენს მონაცემთა სუბიექტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მონაცემთა დამმუშავებელთან არსებულ ამავე მუხლით გათვალისწინებულ მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშრებულ ინფორმაციაზე/დოკუმენტაციაზე

ჩასწორება და სხვა. საგულისხმოა, რომ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული რეგულაცია გვხვდება სხვა საკანონმდებლო აქტებში, რომელსაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი არ ითვალისწინებს. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლი, რომლით დადგენილია ის ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია:

- „ყველას აქვს უფლება იცოდეს:
- „საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე".

ამ მხრივ ასევე საყურადღებოა „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირის დაცვის შესახებ" ევროპის საბჭოს კონვენციის მე-8 მუხლის „ა" და „ბ" ქვეპუნქტები, რომლის თანახმად - „ნებისმიერ პირს უნდა შეეძლოს:

- მონაცემთა ავტომატიზებული ფაილის არსებობის ფაქტის დადგენა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ფაილის, მისი ძირითადი მიზნების, ასევე მოცემული ფაილის ადმინისტრატორის პიროვნების, მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ან ძირითადი სამუშაო ადგილის შესახებ.
- საჭიროების შემთხვევაში, გარკვეული პერიოდულობითა და გადაჭარბებული დაგვიანებისა და დანახარჯების გარეშე, მონაცემთა ავტომატიზირებულ ფაილში მასთან არსებული პერსონალური მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება, ასევე მისთვის მონაცემთა მიწოდება მისაღები ფორმით".

აღნიშნული დანაწესი მნიშვნელოვანია, რამდენადაც იგი ხაზს უსვამს მონაცემთა სუბიექტისათვის ინფორმაციის მიღების საჭიროებას და ასევე პერიოდულობას. საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას ან კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის მიმართ. „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციითა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით ძალაში შესულ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას და კონსტიტუციურ კანონს. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ერთის მხრივ სზალ-ის 42-ე მუხლი ავალდებულებს მონაცემთა დამუშავებელს მიაწოდოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების არსებობის ან არ არსებობის შესახებ ინფორმაცია, ხოლო მეორეს

მხრივ, იგი შეიძლება მოხვდეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2022 წლის 02 მარტის №04 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის“ მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის გამომრიცხავ გარემოებათა შორის (საკითხის შესწავლა სცდება სამსახურის კომპეტენციას), სამსახურის მიერ არ იქნას მიღებული წარმოებაში და შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტს ხსენებული დარღვევისათვის არ დაედოს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით“ და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახდელი/ პასუხისმგებლობა. „პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირის დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, ყოველი მხარე იღებს ვალდებულებას, დააწესოს შესაბამისი სანქციები და გარანტიები[2] ადგილობრივი კანონმდებლობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, რომელიც შეეხება ამ თავში მოცემული მონაცემების დაცვის ძირითად პრინციპებს.

- **იდენტიფიცირებული პრობლემა, რომლის გადაჭრა საკანონმდებლო წინადადებების მიზანია:** პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობაში მონაცემების დამუშავების და დაცვის კუთხით სხვადასხვა სამართლებრივ აქტებში მოცემული ნორმების თავმოუყრელობა.

შესაძლოა "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული მონაცემთა დამმუშავებლის ვალდებულება შესაბამისი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში მოახდინოს მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება, ასევე ვრცელდებოდეს კიდეც ისეთ შემთხვევებზეც, როდესაც მონაცემთა დამმუშავებელი არ ახორციელებს განმცხადებლის კონკრეტული მონაცემ(ებ)ის დამუშავებას, თუმცა, გაცნობის წესის, მათ შორის, იმ პროცედურის გაცნობის უფლება, რომლითაც ხდება პირის იდენტიფიკაცია, ზემოხსენებული კანონით არ არის რეგულირებული. მონაცემთა დაცვის სტანდარტებიდან გამომდინარე, მონაცემთა სუბიექტის მიმართვის და მისი დამუშავების შესახებ ინფორმაციის, მათ შორის ასეთი მონაცემების არსებობის ფაქტის დადასტურება, საჭიროებისამებრ, ასეთი მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის გამოთხოვის უფლება უნდა წარმოადგენდეს მონაცემთა სუბიექტის უფლებების რეალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას, რაც მას აძლევს შესაძლებლობას გამოარკვიოს რა კონტექსტში და რა ფორმით ხდება მისი მონაცემების დამუშავება. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი იქნებოდა სზაკ-ის 42-ე

---

2 „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება უფრო გვიან მიღებულ (გამოცემულ) ნორმატიულ აქტს.

მუხლით და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული გარემოებები „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონშიც გათვალისწინებულიყო. მაგალითად, მე-15 მუხლს დაემატოს ქვემოაღნიშნული რედაქციის მქონე მე-5 პუნქტი (ან/და 21-ე მუხლს მე-6 პუნქტის სახით):

- „მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს იცოდეს საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების გაცნობის წესი, მათ შორის, იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე“.

❖ **ცვლილების მიზეზი:** კანონპროექტის მიზანია პერსონალურ მონაცემთა დამუშავების დარღვევის თავიდან აცილებისათვის ან/და მონაცემთა დაცვით გათვალისწინებული პროცედურის <u>და მონაცემთა სუბიექტის უფლების რეალიზაციის ხელშეწყობისათვის</u>, პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით დამატებითი გარანტიების შექმნა.

❖ **ცვლილების არსი:** კანონპროექტის თანახმად, ცვლილება შედის კანონის მე-15 მუხლში, რომელსაც დაემატება მე-5 პუნქტში. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებული პერსონალური მონაცემების გაცნობის და შესაბამისი მაიდენტიფიცირებელი პროცედურის წესის შესახებ მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების უფლების დადგენას.

❖ **საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი**

ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ N [redacted]
მცხ.: [redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]
Tel.: [redacted]
04/10/2022